ტურისტული ინფრასტუქტურის ობიექტების პროექტირება ცირკულარული ეკონომიკის პირობებში

გიორგი გიორგაძე

ასოცირებული პროფესორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ა ნ ო ტ ა ც ი ა

საპროექტო-სამშენებლო ბაზრის მოთხოვნები გლობალური პანდემიის პირობებში მკვეთრად განსხვავებულია წინა წლების ორდინარული სურათისგან. ზოგადად ეკონომიკური კრიზისი შეეხო სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთი მნიშვნელვანი სფერო-ტურიზმი, რომლის შემოსავალი ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან და საიმედო წყაროს წარმოადგენს და რომლის განვითარებაც დღემდე ძირითადად განისაზღვრებოდა უცხოეთიდან შემოსული ტურისტული ნაკადების სიდიდით და ინტენსივობით. მოსახლეობის დაცვის მიზნით მთავრობის მიერ გატარებულმა საგანგებო ღონისძიებებმა: ქვეყნის საგარეო კარიბჭეების ჩაკეტვამ, კარანტინის რეჟიმმა, სოციალურმა დისტანცირებამ და სხვ. გამოიწვია ამ დარგის სრული სტაგნაცია; ტურისტული აქტივობის შეჩერებამ მრავალი პრობლემა შეუქმნა დარგის დამსაქმებლებს და დასაქმებულებს, ოპერატორ კომპანიებს, ბიუჯეტს. შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან თავის დაღწევის ეფექტური გზები ჯერ-ჯერობით ვერ მოიძებნა, თუმცა არსებობს ალტერნატიული მიმართულებები, რომელთა წინ წამოწევაც დაკავშირებულია წინასაპროექტო მრავალპროფილურ კვლევებთან და მათი შედეგების განზოგადების საფუძველზე აუცილებელი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების შედგენასთან. ერთ-ერთ ამგვარ პერსპექტიულ მიმართულებად ისახება ისტორიულ განაშენიანებაში მდინარის ფაქტორის ახლებური გააზრება; ამ კუთხით, მდინარე მტკვარი წარმოადგენს ქალაქ თბილისის ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარებისთვის მნიშვნელოვან სივრცით-გეგმარებით გარემოს. სტატია განიხილავს მდინარის ნაპირების და მისი წყალქვეშა სივრცის გამოყენებას ატრაქტული ტურისტული ობიექტების პროექტირებისთვის. ცირკულარი ეკონომიკის გამოწვევები განსაზღვრავენ არქიტეტურულ-გეგმარებით მოცემულობებს და კონკრეტული შენობა-ნაგებობების მშენებლობისთვის საპროექტო-ტექნიკური დავალებებis შემადგენლობებს.

საკვანძო სიტყვები: *მრავალპროფილური კვლევები, ცირკულარული ეკონომიკა, ატრაქტული ტურისტული ობიექტები.*

ტურისტული ინფრასტუქტურის ობიექტების პროექტირება ცირკულარული ეკონომიკის პირობებში

გიორგი გიორგაძე

ასოცირებული პროფესორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შესავალი

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმს მნიშვნელოვანი წილი აქვს მიკუთვნებული. ტურისტული ინფრასტრუქტურიდან მიღებული შემოსავლები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტის შევსების რეგულარულ და საიმედო წყაროს წარმოადგენდა. გლობალურმა პანდემიამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამ დარგის განვითარების პერსპექტივები; გაჩნდა ახალი რეალიები, რომლებიც გამოიწვია საერთაშორისო ტურისტული ნაკადების გადაადგილების გაურკვეველი დროით შეზღუდვამ, ქვეყნის საგარეო კარიბჭეების დახურვამ, კარანტინის რეჟიმმა. არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა მთლიანად ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომელიც წლობით იქმნებოდა და რომელშიც მობილიზებული იყო როგორც დიდძალი მატერიალური ფონდები, ასევე ფინანსური სახსრები. ძალზედ მნიშვნელოვანია და დამაფიქრებელი, აგრეთვე, ტურიზმის სფეროში ინტენსიურად მომუშავე და ამჟამად უმუშევრად დარჩენილი მრავალრიცხოვანი კადრების ხელახლა დასაქმების პრობლემა; სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის პროფილირებული ქსელის და მისი ცალკეული ობიექტების გადაიარაღება და ადაპტაცია. ეს და სხვა მრავალი თანმდევი საკითხი, რომლებიც თან ახლავს საქართველოში ეპიდემიის გავრცელებას, მოითხოვს სწრაფ რეაგირებას და გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას ტურისტული დარგის სტაგნაციიდან გამოსაყვანად. შექმნილი კრიზისის პირობებში ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურული პროექტირებისათვის ახალი მოცემულობა განისაზღვრება შემდეგი ძირითადი მოთხოვნებით:

- ტურისტული ინფრასტრუქტურის სივრცით-გეგმარებითი და ფუნქციონალურ-სტრუქტურული ფორმირების პრინციპების ახალი ხედვის ჩამოყალიბება;
- ურბანული დიზაინის გააზრება და ისტორიულ ლანდშაფტთან ორგანული სინთეზის გათვალისწინება ტურისტული ობიექტების პროექტებში;
- საინვესტიციო დაგეგმარებაში ეკონომიურ კომპოზიციურ სქემებზე აწყობილი ე.წ. „მოქნილი გეგმარების“ და „ვარიაბელური არქიტექტურის“ შენობების და კომპლექსების ბიზნეს-წინადადებების, ფინანსური გეგმების წახალისება; ცირკულარულ ეკონომიკაზე მორგებული საპროექტო გადაწყვეტების და სამშენებლო ტექნოლოგიების ახალ, პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყოფა.

ტურისტული ბიზნესის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

პირველადი ფაქტორები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ ტურისტული ბიზნესის წარმატების განმსაზღვრელებს (მნიშვნელობის მიხედვით რანჟირების გარეშე) შემდეგია:

- მიმზიდველი ბუნებრივი გარემო და ხელსაყრელი კლიმატური პირობები;
- ქვეყნის ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა;
- მომსახურების ხარისხი; მიმღები ქვეყნის კეთილგანწყობა და გახსნილობა;
- გზები და საკომუნიკაციო სისტემები ქვეყანაში ჩასასვლელად; მარტივი სავიზო რეჟიმი;
- ადგილობრივი ბიზნესის უნარები სწრაფად და ადვილად ადაპტირდეს სახეცვლილ გარემოში დიფერენცირებული ამოცანების ეფექტური გადაჭრისთვის;

- მდგრადი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა; ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზრის ხელმისაწვდომობა; ლოიალური ფასები;
- საინტერესო ფოლკლორი და მრავალფეროვანი ეროვნული სამზარეულო.

ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების დაჯამება და მათი განხილვა პოტენციური შესაძლებლობების ფონზე, რომელიც ქვეყანაში არსებობს გადაადგილების კომპაქტური მარშრუტების, ბიომრავალფეროვნების, უსაფრთხოების და სხვ. ხელსაყრელი გარემოებების სახით, მიგვანიშნებს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, დარგის პერსპექტიულობაზე. მოცემულ ეტაპზე განსაკუთრებით საყურადღებოა ტურისტული სერვისის ახალი მიმართულებების „გახსნა“, რომელთა განვითარება დაეხმარება დარგს შექმნილი და მოსალოდნელი რისკების დაზღვევაში, გამოიყვანს ტურისტულ ბიზნესს სტაგნაციის მძიმე პროცესიდან და უკვე უახლოეს მომავალში აღუდგენს მას ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიმართულების სტატუსს.

გზა, რომელიც დარგს გაიყვანს მოქმედების ახალ, საიმედო სარბიელზე უცილობლად მოითხოვს: თვისობრივად ახალი, ტექნიკური რეალიზაციის თვალსაზრისით – ადვილად დასაძლევი, მიმზიდველობის მხრივ – მეტად ატრაქტული და ეკონომიკურად – საგრძნობლად ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

ცირკულარული ეკონომიკის მთავარი გამოწვევები

ახალმა რეალიებმა ახალი პირობების სახით დააყენა მოთხოვნები, რომელთა აღწერა შემდეგ საერთო სურათს სახავს:

- ტურისტული მომსახურების ნებისმიერი სახეობა უნდა წარმოადგენდეს ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო პროცესს;
- ბიზნეს წინადადებები, პროექტები და პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება სერვისის ახალი სახეობების დანერგვაზე უნდა შეესაბამებოდნენ ცირკულარული ეკონომიკის მთავარ მოცემულობას: – წარმოადგენდნენ ეკონომიურ გადაწყვეტებს მოქმედების წრიული კონტურისთვის, ანუ სწრაფად და ეფექტურად უნდა ხორციელდებოდეს მათი რეალიზაციიდან მიღებული მოგების „ჩაბრუნება“ მოქმედ ბიზნესში განვითარება-გაფართოების მიზნით;
- მზარდი ინფლაციის, ეროვნული ვალუტის არამყარი მდგომარეობის, არასახარბიელო საბანკო კრედიტების და ფაქტობრივად შეწყვეტილი საგარეო ინვესტირების პირობებში ბუნებრივად იკვეთება ახალი სერვისების დანერგვის მიზანშეწონილი ვერსია: – არჩეული მიმართულების რეალიზაცია ეტაპურად – მცირე ზომის ობიექტიდან / სერვისიდან – მომსახურების განვითარებული ქსელის შექმნამდე, სადაც შესაძლებელი იქნება რისკების გადაზღვევა ანალოგიური მომსახურების შეთავაზებით სხვა დისლოკაციის ობიექტზე.

ხელსაყრელი გარემო ახალი ტიპის ტურისტული მომსახურებისთვის

ტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის პრიორიტეტულად ყოველთვის მოიაზრებოდა ისტორიული გარემო. საქართველოს ხელოვნების, ყოფითი კულტურის, გმირული ეპოსის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ამ მხრივ, ფრიად საინტერესოა ადგილობრივი და განსაკუთრებით უცხოელი ვიზიტორისთვის.

მდინარის თემა მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის და კერძოდ მისი დედაქალაქისთბილისის ისტორიის აღქმაში. მრავალი დრამატული პერიპეტია არის დაკავშირებული მდინარე მტკვართან; თბილისის და მცხეთის შორეული და ახლო წარსული მოგონებების უწყვეტი ჯაჭვია, რომელზეც აკინძულია: სვეტიცხოველი და სიონი, პომპეუსის ხიდი და ასი ათასი მოწამის თავდადება მეტეხთან, კრწანისის ველი, მადათოვის კუნძული, ორთაჭალის ბაღები და სხვ. უკანასკნელ დრომდე ცალკეული პროვაიდერების მიერ ხორციელდებოდა ორგანიზებული გასეირნებები მდინარეზე იმპროვიზირებული ტივებით, სტილიზებული ბორნებით, საექსკურსიო კატარღებით და სხვ. რიყე და აბანოთუბანი ღებულობდა მრავალრიცხოვან სტუმარ-მნახველს ტრადიციული თბილისობის დღესასწაულის თუ ერთჯერადი სანახაობითი ღონისძიებების პერიოდში. მტკვრის თემა დღესაც რჩება ერთ-ერთ მიმზიდველ ფაქტორად ტურისტული საქმიანობის სფეროში; ამ თემის ახლებურად გააზრება და მისი აუმოქმედებელი რეზერვების მოძიება დიდი ალბათობით გახდება დარგისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭების გარანტი.

ურბანული ჩარევები მდინარის სივრცეში

მდინარე მტკვარი, როგორც ცნობილია, ქვეყნის მთელს ტერიტორიას კვეთს – თურქეთიდან აზერბაიჯანამდე. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების და დასახლებული პუნქტების უდიდესი ნაწილი მტკვრის მიმდებარე ტერიტორიებზეა განვითარებული. თბილისის ურბანულ სივრცეში მტკვარი ნათლად აღიქმება მისი კალაპოტის და ნაპირების „მოჭრილი“ კონტურებით, რომლებიც ხისტად გამოყოფენ მდინარეს მიმდებარე გარემოდან, ერთგვარ სივრცით იზოლაციაში აქცევენ მას. მტკვრის ამგვარ იზოლაციას სათავე დაუდო 40-იანი წლების დასასრულს და 50-იანი წლების დასაწყისში გაშლილმა სანაპიროების მშენებლობამ თბილისში, რის შედეგადაც მდინარე ფიქსირებული ჯებირებით და მიმდებარე ჩქაროსნული სატრანსპორტო მაგისტრალებით მთლიანად მოწყდა ქალაქის ისტორიულ განაშენიანებას და ჩაიკეტა ფეხმავალთა ნაკადებისთვის (სურ. 1).



სურ. 1. მტკვრის მაჯვენა სანაპირო თბილისში, აბანოთუბნის მიდამოებში. ავტომაგისტარლის მშენებლობამ მდინარესთან ფეხმავლებს მისასვლელი გადაუკეტა. წყარო: „1958 წლის თბილისი ამერიკულ ფერად ფოტოგრაფიებში“, Pinterest.

მხოლოდ მცირე მონაკვეთზე – რიყის პარკის მოწყობისას გახდა შესაძლებელი სანაპირო ზოლის „დაბრუნება“ ფეხით მოსიარულეთათვის. ეს მოვლენები, რომლებიც დაფიქსირებულ იქნა ქალაქის ისტორიულ გარემოში ტრანსპორტის მოწესრიგებისადმი მიძღვნილ სტატიაში [Giorgi Giorgadze. The Development of Transport Infrastructure Among Cities with a Cultural Heritage (on the example of Tbilisi, Georgia). The History of Land Transport, 2017, 3 (1)], ნათელს ხდის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფეხით მოსიარულისთვის პრიორიტეტის მინიჭება ქალაქის ისტორიულ გარემოში და რარიგ ძლიერია ამ გარემოების გავლენა ტურისტული ნაკადების გადაადგილებაზე (სურ.2).

სურ. 2. მტკვრის მარცხენა სანაპიროს მცირე ზოლის „დაბრუნება“ ფეხით მოსიარულეთათვის თბილისში, რიყის პარკის მიმდებარედ. წყარო: Traveler photo, ე.სოროკინის ფოტო: „ხედი რიყის პარკზე ნარიყალას ციხე-სიმაგრიდან“, 2019 წ. ნოემბერი.

საფეხმავლო მისადგომების ჩაკეტვა მნიშვნელოვანი ქალაქგეგმარებითი შეცდომაა, თუმცა ის არ წარმოადგენს მტკვრის მთავარ სატკივარს. მდინარის დაბინძურება, წყლის ხარისხის სავალალო მდგომარეობა, გამწმენდი და ფილტრაციის ნაგებობების არარსებობა, ინერტული მასალის უკანონო მოპოვება კალაპოტში, სამშენებლო ნაგვის დაყრა ნაპირებზე – ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ ფაქტორებისა, რომლებიც ქვეყნის მთავარ მდინარეს მკვეთრად ნეგატიურ სურათად წარმოადგენენ (სურ. 3). აღნიშნული გარემოებების მრავალწლიანი ზემოქმედების შედეგია მდინარის ხეობის ეკოლოგიური დისბალანსი. მიმდებარე ტერიტორიებს და თვით წყლის სივრცეს დაკარგული აქვთ მიმზიდველობა როგორც დასახლებული პუნქტების მოსახლეობისთვის, ასევე გარე ტურიზმისთვის. ბიუჯეტი კარგავს უზარმაზარ შემოსავლებს ბუნებრივი ლადშაფტის პოტენციური შესაძლებლობების არაეფექტური გამოყენების გამო.

აღნიშნული პრობლემები მრავალჯერ გამხდარა მდინარე მტკვართან დაკავშირებული კვლევითი პროგრამების და საერთაშორისო პროექტების მთავარი თემა. სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის ესოდენ მნიშვნელოვან თემაზე შესრულებულია ათამდე სამუშაო საერთაშორისო დონორების აქტიური ჩართულობით. ამ პროექტებს შორის უკანასკნელი (შესრულდა 2012 წელს) – Ensuring the Improvement of the Mtkvari River Management in Tbilisi Area. Framework Contract Beneficiaries 2009, Lot 6 Letter of Contract №2012/294630 – Version 1, რომლის დამკვეთსაც ევროკავშირი (EU) წარმოადგენდა, ხოლო ბენეფიციარს – თბილისის მერია, უპრეცენდენტო იყო თავისი მასშტაბით და კვლევის პროფილების სიმრავლით.

თბილისის მიწათმოწყობის ახალ გენერალურ გეგმაში (2019) დეტალურად არის გაანალიზებული მდინარის დომინირებული პოზიცია თბილისის წრფივი განვითარების საკითხში და შეფასებულია ურბანული განვითარების პერსპექტივები სანაპიროების ჩართულობის გამოყენებით საერთო საქალაო რეკრეაციული სივრცეების შექმნის კუთხით.

სურ. 3. სამშენებლო ნაგვით დაბინძურებული მტკვრის მარჯვენა სანაპირო დიღმის ჭალების რაიონში, თბილისში. წყარო: გ.გიორგაძის საავტორო ფოტო, 2012 წ. აგვისტო.

ტურისტული ინფრასტრუქტურის ახალი ჰოლისტიკური მოდელი. განვითარების სტრატეგია

2019 წელს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ახლადშექმნილმა საპროექტო-კვლევითმა ბიურომ წამოიწყო მასშტაბური სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის დამუშავება სახელწოდებით: „მდინარე მტკვრის ნაპირების ურბანული მენეჯმენტი“ (ხელმძღვანელი გ. გიორგაძე). ამ წელსვე შესრულდა პროგრამის I ეტაპი – „საფესტივალო სივრცე თბილისის ისტორიულ ნაწილში“. პროექტის ამ ნაწილში მომზადდა თბილისის ისტორიული ცენტრის სივრცითი განვითარების შეფასება მასშტაბური საქალაქო ღონისძიებების მოწყობის კუთხით; მსოფლიო პრაქტიკაში არსებული თვალსაჩინო მაგალითების [The beginning of the Cheonggyecheon Stream in downtown Seoul, South Korea. Retrieved from: https://www.dreamstime.com/editorial-stock-photo-cheonggyecheon-stream-seoul-south-korea-beginning-downtown-image48397938; San Antonio Riverwalk. Retrieved from: https://www.thesanantonioriverwalk.com/media-room/] და თბილისის მორფოლოგიური ქსოვილის სპეციფიკის

გათვალისწინებით განზოგადებულ იქნა მდინარის, როგორც ძლიერი ქალაქმაფორმირებელი ფაქტორის გავლენა სანახაობითი ეფექტის მიღწევის თვალსაზრისით (სურ. 4,5).

თემის საერთო სამეცნირო აქტუალობა, მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობა თბილისი სივრცითი განვითარების პროცესის გაუმჯობესების და ქალაქისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვის შესაზლებლობით, განსაზღვრავენ კვლევის დასახული მიმართულების გაღრმავების მიზანშეწონილობას.

სურ. 4. ტურისტულ ბიზნესს მორგებული, ატრაქტული სივრცე მცირე მდინარის კალაპოტში. სან-ანტონიო, აშშ. წყარო: https://www.thesanantonioriverwalk.com/media-room/

კვლევითი მიმართულების აქტუალობაზე მიანიშნებს, აგრეთვე, ევროკავშირის დაინტერესება დამუშავებული პროექტით [1], რაც საქალაქო ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივების შეფასების კუთხით თბილისისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მოიაზრება.

სურ. 5. საზოგადოებრივი სარეკრეაციო ზონა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, მდინარის განახლებულ სივრცეში. სეული, სამხრეთ კორეა. წყარო: https://www.dreamstime.com/editorial-stock-photo-cheonggyecheon-stream-seoul-south-korea-beginning-downtown-image48397938

პროგრამის II ეტაპი (2020 წლის იანვარი-ივლისი) დამუშავდა საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატის შესაქმნელად წინარე ტესტ-პროექტის სახით და წარდგენილ იქნა იტალიაში ფლორენციის საერთაშორისო კონფერენციაზე – Urban Planning & Architectural Design for Sustainable Development – 5th Edition (2020 წლის 8-10 ივლისი).[2]

[1] Ensuring the Improvement of the Mtkvari River Management in Tbilisi Area. Framework Contract Beneficiaries 2009, Lot 6 Letter of Contract N° 2012/294630 – Version 1.

[2] Ferdinando Trapani, Francesco Alberti, Sreetheran Maruthaveeran. Advances in Urban Planning and Architectural Design for Sustainable Development. Proceedings of Urban Planning and Architectural Design for Sustainable Development (UPADSD) – 5th Edition

დამოუკიდებელი სამეცნიერო ნაშრომის : "Historical heritage in the city below and above the river level" სახით (ნაშრომი შეტანილია კონფერენციის კრებულში და ამჟამად მზადდება გამოცემისთვის); სტატიასა და კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებაში აღწერილ იქნა ტურისტული სერვისის ტრადიციული სახეობები მდინარე მტკვარზე; ყურადღება გამახვილდა ტურისტული ბიზნესის ჯერ კიდევ აუთვისებელი მიმართულების – კულტურული მემკვიდრეობის წყალქვეშა ექსპოზიციების მოწყობაზე: – პილოტ-პროექტისთვის შეირჩა პერსექტიული ლოკაცია და წარმოდგენილ იქნა კონცეპტუალური 3D მოდელი (სურ. 6).



სურ. 6. წყალქვეშა ექსპოზიცია მდინარე მტკვარზე, ორთაჭალის რაიონში, თბილისში. 3D მოსამზადებელი ესკიზი პილოტ პროექტისთვის (გიორგაძე, 2020).

პროგრამის III – დასკვნითი ეტაპი გულისხმობს: მდინარის თემის, განსაკუთრებით მისი ნაპირების და წყალქვეშა სივრცის ურბანული მენეჯმენტის გაღრმავებულ დამუშავებას და მორგებას ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მოთხოვნებზე ახალ რეალიებში. შემაჯამებელი დასკვნების და რეკომენდაციების საფუძველზე თვალსაჩინოებისთვის შესრულდება მიღებული ჰოლისტიკური მოდელის პილოტ პროექტი 3D მოდელირებით და საინვესტიციო დაგეგმარებით, რაც ერთიანობაში შექმნის სანიმუშო საინვესტიციო პაკეტს ინვესტორებისთვის. განსაზღვრულია დასრულებული პაკეტის განხილვა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალი სტრატეგიის კონცეფციასთან ერთად, რისთვისაც მომზადდება ცალკე საპრეზენტაციო ვერსია.

საკვანძო ამოცანების განმარტება პროგრამის დასკვნითი ნაწილის დაწყებამდე მდგომარეობს შემდეგში:

პროგრამა „მდინარე მტკვრის ნაპირების ურბანული მენეჯმენტი" მოწოდებულია განიხილოს ტურისტული ბიზნესის კრიზისიდან გამოყვანის შესაძლებლობები და ქვეყანაში შექმნილი ახლი გარემოებების გათვალისწინებით წარმოადგინოს ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირების და მშენებლობის პერსპექტიული ჰოლისტიკური მოდელი.

ჰოლისტიკური მოდელის კონცეფცია სრულად უნდა ეთანხმებოდეს ცირკულარული ეკონომიკის პლატფორმას, მისი რეალიზაცია უნდა იყოს სწრაფი და მარტივი და ხასიათდებოდეს მაღალი ეკონომიკური ეფექტურობით.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი განვითარების კონცეფცია უნდა პასუხობდეს ქალაქის ურბანული განვითარების პოლიტიკას და ჰქმნიდეს რეალურ წინაპირობებს აქტუალური პრობლემის – მდინარე მტკვრის ეკოლოგიური ბალანსის აღდგენის გადაწყვეტისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Ensuring the Improvement of the Mtkvari River Management in Tbilisi Area. Framework Contract Beneficiaries 2009, Lot 6 Letter of Contract №2012/294630 – Version 1.

Ferdinando Trapani, Francesco Alberti, Sreetheran Maruthaveeran. Advances in Urban Planning and Architectural Design for Sustainable Development. Proceedings of Urban Planning and Architectural Design for Sustainable Development (UPADSD) – 5th Edition 2020.08-10 July, 2020.

IEREK Press. Academic Research Community. www.ierek.com

Giorgadze, G. (2017). *The Development of Transport Infrastructure Among Cities with a* Cultural Heritage (on the example of Tbilisi, Georgia). The History of Land Transport, 3(1): 4-14.

The beginning of the Cheonggyecheon Stream in downtown Seoul, South Korea. Retrieved from: https://www.dreamstime.com/editorial-stock-photo-cheonggyecheon-stream-seoul-south-korea-beginning-downtown-image48397938

San Antonio Riverwalk. Retrieved from: https://www.thesanantonioriverwalk.com/media-room/